საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 72
(11 733)

19 - 22 სექტემბერი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

- ვაკის აუზი სიცოცხლეს იბრუნებს
- ნაკრების ეწვრთნელები - ყარამან საბანაშვილი
- ევროპული ფეხბურთი დანაკევრებულ იუმოსლავიაში
- შეხვედრაში ეროვნული რეპეტიციის VIII გუნდის წინ
- 25 შეკითხვა კოლიას
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

გიხაროდენ! თბილისს ვაკის დახურული საცურაო აუზი უბრუნდება

60-იანელები, ანუ სტუდენტთა ის თაობა, რომლებიც 1958-1962 წლებში სწავლობდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში (ახლანდელი სპორტის აკადემია), ამ უმაღლესი სასწავლებლის სიახლოვეს გაშლილ სამხედრო პოლიგონს ორჯერ შეესწრო. პირველად, როცა ვაკის დახურული საცურაო აუზი შენდებოდა და მეორედ ახლა, როცა კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ, ეს საწყლისნო სპორტული ობიექტი კვლავ იბრუნებს სიცოცხლეს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ადრე შენებლებთან ერთად აქ სტუდენტები სპორტის მოამაგალი სპეციალისტებიც მუშაობდნენ.

აუზი სიცოცხლეს იბრუნებს — ვთქვით. ათ წელიწადზე მეტია მოცურავეებისთვის, წყლტურთელებისა და წყალში მხტომელებისთვის, ხალხის გასაჯანსაღებლად გამოუყენებელი, ანუ გაუმწყრებული ეს სპორტული ბაზა, აკლავ უბრუნდება სპორტს, ხალხს, რაშიც უდიდესი წვლილი უდევს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს **ირაკლი მემმარიაშვილს.** ამ წლის დასაწყისში, როცა კიდევ ერთხელ საჯაროდ გამოითქვა საყდროები სპორტის მუშაობა ერთ-ერთ თავდარეულობაზე აუზის ფუნქციის დაკარგვის გამო, დეპარტამენტის თავმჯდომარემ დამაჯერებლად განაცხადა, რომ აუზს დაიბრუნებენდეწ დაწერილებით კი ვიცით რა ნაბიჯები გადადგა სამსისოდ, მაგრამ, როგორც ტქვიან, მთავარია ფაქტი — აუზის განახლება-რეკონსტრუქცია სრული ტემპით მიმდინარეობს, რის საბაბადაც გუშინწინ, ქურნალისტებიც მიგვყვეს.

ვიდრე რეკონსტრუქციის შემდეგ მართლაც უნიკალური ნაგებობის ხილვით ყველანი ერთად დავტკბებით, ამ სიამოვნების ჯერ მშენებლები — დამწყვეთ, მოჯარაღე და ქვემოთჯარედ ორგანიზაციის წარმომადგენლები, თვით მუშებიც კი, განიცდიდან. განიცდიან იმიტომ, რომ ეამაყებათ, რასაც აკეთებენ. ეს სიამაყე ჯერ დამკვიდრებულ ხელმძღვანელის **ჯუმბერ ხატიაშვილის** თვალებში და საუბარში ამოვკითხეთ, როცა **ირაკლი მემმარიაშვილს** და სპორტის აკადემიის რექტორს **ომარ გოგიაშვილს** დაწერილებით უამბობდა რეკონსტრუქციის ნუანსებზე. შემდეგ აქ დასაშვებულ ადამიანებზე, ობიექტების დათვალიერებისას.

ია. ჭე-2 ვ3.

ამერიკა მეორე ადგილზე ელდარ კურტანიძემ გაიყვანა

ფოტოზე რობერტ ბაგრიანისა

საქართველოს სპორტული გმირები თბილისის აეროპორტში

თბილისის აეროპორტში ჩვენი გმირი ფალავნების დამხვდურთა შორის, ცხადია, ჭეროსანისტებიც იყვნენ, მაგრამ მათთვის, გუშინ, უფრო მშვიდ ვითარებაში ჭერ საქართველოს ეროვნული ოლიმპიურ კომიტეტში მოეწყო პრესკონფერენცია მსოფლიო ჩემპიონობიდან დაბრუნებულ სრულ შემადგენლობით, შემდეგ კი ყველამ ერთად გადაინაცვლა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში და პრესკონფერენცია აქ გაგრძელდა.

სეკა-ში შეკრებილთა შორის იყვნენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე არაკლე მემმარიაშვილი, მისი მოადგილენი, ოლიმპიური ფონდის და ბაბარი პატრაკეიშვილის წარმომადგენელი გოგა ჯაიშვილი, პარლამენტარი ოთარ ჭითანავა...

ჯანო ბარატაშინი: „კიდევ ერთხელ მოგესალმებით ტროეშფატორებს, ფეხბურაელის ხელმძღვანელებს, მწერალნელებს. თქვენ წარმატება გვიმეიქნეს, რომ ათენში აუცილებლად მოგიწევთ სასურველ შედეგს. მსოფლიო ჩემპიონატზე უმნელოდ დარჩენილებმა გელი არ გაიტეხოთ, ნიუ-იორკში დამსახურებული ლიცენზიები ხომ გზას გიხსნით ოლიმპიადაზე მაღალ შედეგებს მოსაპოვებლად. ღმერთმა გამარჯვებით გატარით!"

გოგი ჯაიშვილი: „მოგვსალმებით ჩვენც ქვეყნის სახელით. ჩვენი გმირობა ყველამ იხილა, ეს ნამდვილად ასეა. ჩვენ ვიცით, რომ ეროვნული ნაკრების ფორმის ტარება ყველა სპორტსმენისთვის პატივია, მაგრამ ამ ფორმაში ჩაცმული ბიჭები ორმაგად ამაყობენ.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 6 თვე გააშორებს

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 332 დღე დარჩა

ვრცელი ინფორმაცია საქართველოს სპორტული ცხოვრების შესახებ – ქართულ სპორტში

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

ნაკრებების მწვრთნელები

ყარამან საბანაშვილი: „გვიჭირს, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ“...

ყარამან საბანაშვილი: ვეტერანი მძლეოსანი, დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, მუშაობდა გლდანის სპორტულ ინტერნატში, განათლების სამინისტროს სპორტულ სკოლაში, 1995 წლიდან დღემდე არის საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სამწვრთნელო გამოცდილებას ახმარს საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებ გუნდს, როგორც უფროსი მწვრთნელი ტყორცნებში. არის XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი.

დღეს ყარამან საბანაშვილი „ლელოს“ სტუმარია.



● რომელი წლიდან მუშაობთ ნაკრებში მეტყორცნელებთან?

— 1995 წლიდან.

● ცოტა არ იყოს, ტყორცნები უღიმღამოა, ნაკლებია ახალგაზრდა, თუმცა მისი მომდევნოები ჩვენში მაინც არაან, რით ახსნით ამას?

— 1922 წლიდან მოყოლებული საქართველოს მუდამ ჰყავდა კარგი მტყორცნელები, შეიქმნა ტრადიცია, ტრადიციას კი ყოველთვის ჰყავს მიმდევრები.

● გასული საუკუნის 20-იან წლებზე არ გეკითხებით, მაგრამ XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე იქნით თუ მოიმატა მედგებებმა?

— ბოლო წლებში, როგორც საკვირველიც უნდა იყოს, შედეგებმა იკლო.

● რით ახსნით ამას?

— ცხოვრების სიღუპნერით. სავარჯიშო პირობებსაც ეგულისხმობ. ამ ბოლო ხანებში მხარში დაგვიდგა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და მტყორცნელებსაც ეთიოპიაზე შეძენილ ვარჯიში, შედეგი უკვეთ მიღწევებში აისახება.

● და მაინც, უნდა ბაგეხვიო, თქვენ ბიოლეს კერაში გამოდიოდით, განა თქვენი დროის შედეგები ახლანდელზე დაბალია?

— არა, ასე ნუ გაიგებთ. ზემოთ შედეგების დაქვეითება რომ ვახსენე, ის ეიგულისხმე, რომ ინდივიდუალურ შესაძლებლების სრულად ვერ ვიყენებთ. მიზეზებზე უკვე გიამბორთ.

● თქვენ ამბობთ, რომ საერთო დონე, საერთოდ, ტყორცნებში ამაღლდა?

— რა თქმა უნდა.

● რის ბარძაყზე?

— წერთნის ინტენსივობისა და ტექნიკის სრულყოფის ხარჯზე. ადრე, მაგალითად, კერაში სამი დღე საკმარისად ითვლებოდა წერთნისთვის, ახლა, გარდა კერისა, ვარჯიშები ყოველდღიურია, ინერგება სიახლეები.

● ნიჭიერება არავერ შუაშია?

— როგორ არა, ნიჭიერება გადამწყვეტია ყველფერში.

● მოზარდებისთვის რამდენად მიზანშეწონილია ასეთი მძიმე სამუშაოს შეთრევა?

— ტყორცნებს გულისხმობთ?

● დიახ!

— მაშინ გეტყით, რომ საგანგაშო არაფერია, მოზარდთა ჯანმრთელობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. მომეცი დინების ასაკის შესაბამისად გადადინ მსუბუქიდან მძიმე იარაღზე...

● დაახლოებით რამდენი მოზარდი მეცადინეობს დღეს ტყორცნებში საქართველოში?

— მთელ ჩვენს კუთხეში დღეს მუშაობს მხოლოდ ხუთიოდე მწვრთნელი, სამი — თბილისში, ორი — რაიონში. საქმე იმაშია, რომ მსურველი ბევრი მოსაძიებელი რომ იყოს, სატყორცნი არენები აღარ შემორჩა. რაც იყო, გაიპარცება და გაიფუძა. დღეისთვის საქართველოში სულ 60 მტყორცნელს ვითვლით.

● და ასეთი მცირე კონტიგენტიდან ოლიმპიურ ნაკრებს წევრება?

— სხვა რა გზაა, რაც არის, იმით ვკმაყოფილდებით.

● რამდენი სპორტსმენია ეროვნულ ნაკრებში, ცხადია, გვულისხმობთ მტყორცნელებს...

— ბერობაში ხუთი ვაჟი და ოთხი ქალი; ბადრობაში — სამი ვაჟი და ამდენივე ქალი, ეროს ტყორცნაში ერთადერთი ვაჟი გვყავს მხოლოდ; შუაში ორ-ორი ქალი და ვაჟი.

● ცხადია, აქვე უნდა გკითხოთ, აქვს კი რომელიმეს მათგანს ითვნში 2004 წლის ოლიმპიადაზე მიხვედრის შანსი?

— თუ ხელშეწყობა ნორმალური გვექნება, ბერობაში გოგონების, ეროსა და შუბის ტყორცნაში კი ვაჟების ძალუძთ მოიპოვონ ლიცენზიები.

● რომელ შეჯიბრებებში გათამაშდება დღეს ლიცენზიები?

— ჯერ ამიერკავკასიის სამატჩო შეჯეჯრაში, შემდეგ ეროპის საკლუბო ჩემპიონატში.

● იმედიანად ხართ?

— უიმედობას რატომ უნდა მივეცეთ. ყველფერია შესაძლებელი.

ესაუბრა მზრიამ ძმებიაშვილი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის V და ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტატის სტუდენტი.

სურათზე: ყარამან საბანაშვილი

გიჩაროდენ! თბილისს ვაკის დახურული სასურათო აუზი უბრუნდება

პირველი ვებერდიდან

მეორე სართულზე ფიტნეში გამოფენილია რეკონსტრუქციის მაკეტი (არქიტექტორები **გიორგი სულდაბრიძე** და **სანდრო რამიშვილი**). საოცარი შთაბეჭდილება დაგრჩა. გარეგნულად და შიდა ხედით ჰგავს და არც ჰგავს ძველს. ყველა თანამედროვე მიღწევა და სიახლის გათვალისწინება თავისთავად. თქვენ წარმოიდგინეთ, **პროექტში**, მიუხედავად ამისა, რომ ბაზა დახურულია, გათვალისწინებულია თბილისური კლიმატიც, უფრო სწორად, მზის სხივების მაგიური ძალა — აუზს ეგნება ორი სოლარიუმი, სადაც აკუმულირებული მზის სხივებით, ღია პლაჟზე უკეთ შეიძლება მზის სხივების საკეთილო საოგებლად და გარეუჯვა. მომსახურების სხვა დახვეწილ სიკეთეზე აღარაფერს ვამბობთ.

ერთი კი უნდა ითქვას. ძალზე ორიგინალურადაა გადაწყვეტილი აუზის ორი განივი კიდის შეერთება გადაასველილი ხიდით. პრაქტიკულად განსაზღვრული მსგავსი პროექტი ჯერ არსად გვინახავს. ხიდი ხელს არ შეუშლის მომეცადინეებს, სამაგიეროდ, დიდ სიკეთეს გაუწევს ყველას — შესაძლებლობა იქნება დამატებითი ბაქვთა საჭყმასაოს ზედაც. ხიდი ადვილად მოიხსნება, როცა ეს საჭირო იქნება, ანუ მარტო იმ შემთხვევაში, როცა აუზში მხოლოდ სრულ 50-მეტრიან დისტანციაზე ჩატარდება შეჯიბრებები.

აუზზე მილიანად შეეცალოთ თავის დროზე დელფინების სასპარტაკიადო ქანდული ამ აუზის მწყობრიდან გამოსული წყლის გატარების სისტემები. უცაბედად კი თურმე მარილის დიდმა დოზამ და მტკიცის ნაბიჯიდან შემოზიდულმა ქიმიკამ ისეთი თითქმის დაუჯერებელი ღონეები, როცა მწებენებემა გვითხრა, რომ დაახლოებით 100 (ასი) ტონა ჯართი გაიტანეს აქედან. ცხადია, შეიცვალა წყლის ფილტრაციისა და ვენტილაციის სისტემებიც, საქმეც ერთი სიახლეა — ახალი საქაბე სპორტული ბაზის უწყვეტი ენერგიის წყაროთიც უზრუნველყოფს აუზს საჭიროების შემთხვევაში.

სამუშაოთა გენერალური შემსრულებელია „ბაგები 2002“, ძირითად სამუშაოს ასრულებს „თბილშენი-2“ (**რეზო მარშანია, გურამ სხირტლაძე**). შენებლებს ეხმარებიან და დახმარებას უწევენ **ირაკლი გვენდია.**

მაინც როგორ დასრულდება რეკონსტრუქცია და რამდენი ჯდება ფინანსურად? ამ კითხვაზე **ვუმეურ ხატაიშვილმა** მოკლედ გვიპასუხა - დასრულდება დროულად და დაიხარჯება იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება.

თ. თოდუაშვილი

გუდვაში, ვეროვის ჩემპიონატზე

პირველი ვებერდიდან

მაგნუს კარლსენი და გერმანელი ფალკო ბინდრიხი. 3,5-3,5 ქულა აქვთ თორნიკე სანიკიძეს და გიორგი მარგველაშვილს.

გოგონათა შორის უდანაკარგოდ მიიწევს წინ უკრაინელი ანა მიზუჩუკი — 5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება მირანდა მიქაძე.

16 წლამდე ასაკის ბიჭუნათა ტურნირსაც ერთპიროვნულ ლიდერი ჰყავს — 4,5 ქულა აქვს პოლონელ პაველ ბარნოვს. 4 ქულა აქვს დავით მალალაშვილს.

გოგონათა შეჯიბრებაში 5 ქულა აქვს რუს მარია ფომინცევს. მაყა ფურეცელაძის ანგარიშზე კი ჭირვრთმით 3,5 ქულაა.

და ბოლოს, 18 წლამდელთა ტურნირის შესახებ. ბიჭუთა შორის უდანაკარგოდ ასპარეზობს პოლონელი მათეუზ ბარტელი, 2 ქულა აქვს ბაღაზ სულაშვილს.

რაც შეეხება უჭართველებოდ მიმდინარე 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა ტურნირს, აქ 4-4 ქულით პირველ-მეხამე ადგილებს იყოფენ ნატალია პოგონინა, მარია კუზნეცოვა (ორივე — რუსეთი) და ინგა ფორჩეი (პოლონეთი).

შეკითხვა «ლელოს»

შეკითხვა: ქართულ პრესაში ხშირად ოწერება იმის შესახებ, რომ კიდ-ბოქსინგის ჩვენი ოსტატები მაღე ჩაებმებიან ათენში, ოლიმპიურ თამაშებში ღირსეწოის მოსაპოვებლად. იქნებ მე არ ვიცი, ნუთუ სპორტის ეს სახეობა მართლაც შეტანილი 2004 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?

მაია ხაბ ბანძილაძე, რუსთავი.

პასუხი: დაბეჭდითი შეგეძლოთა გითხოთ, რომ კიდ-ბოქსინგი არ არის ოლიმპიური სახეობა და, ბუნებრივია, ის არც 2004 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია შეტანილი. მომავალში რა იქნება, სხვა საქმეა.

თენგიზ გიორგაძის ციკლიდან: „ლელო“ და ლელოელები

როგორ იცვლიდა ბიჭებს „ლელო“

გაზეთ „ლელოს“ დაარსებისას (1949 წ.) რედაქციას სამეშვიდე დროებით ს. ციროკის სახელობის პარკში მდებარე ლენინის სიქმაზიციონი დარბაზი ეთერნენ. 1950 წლის დამდეგს ბინად გამოუყვეს ელბაჭინის (ამჟამად მ. ჯავახიშვილის) დალმარიზე №13 სახლის მეორე სართული (ოთხი ოთახი). 1963 წელს რედაქცია გადავიდა ლენინის (ამჟამად მ. კოსტავას) ქუჩის №14-ში. საქართველოს კომპარტიის ცკ-ს გამომცემლობის ძირითადი შენობის მეხუთე სართულზე, სადაც ახლა ერთხან „საქართველოს ქალს“ რედაქცია განთავსებული. 1968 წლის გაზაფხულზე „ლელო“ გადავიდა ცკ-ს გამომცემლობის ახალი კორპუსის (ვ. ბელინსკის, ამჟამად თ. ჭოველიძის) ქუჩა №1) მეოთხე სართულზე, სადაც დღესაც არის.

თენგიზ გიორგაძე

ზესტაფონი სპორტს არ ივიწყებს

მიმდინარე წელს მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიების მოშსწრე იყვნენ ზესტაფონის სპორტის მოყვარულები. რაიონის გამგეობის ელჯუჯა კვეტენაძის დახმარებით, რაიონის სპორტკომიტეტის თაოსნობით, ჩატარდა რაიონის პირველობა საკრისო გარბენში ორ ასაკობრივ ჯგუფში. მონაწილეობდა 70-მდე სპორტსმენი. მოეწყო ქალების პირველობა უნნებს შორის მინიფეხბურთში, სადაც მონაწილეობდა ქალაქის 14 უბნის გუნდი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რაიონის პირველობა ასევე მინიფეხბურთში ზესტაფონისა და ყველა ქართველ ფეხბურთის გულშემატკივრისათვის საფარელი პიროვნების გუნარ პეტრიაშვილის სახელობის თასზე, რომლის ფინალურ მატჩს ესწრებოდა მისი ვაჟი დათო. დავით პეტრიაშვილმა პირადად გადაასცა ფასიანი საჩუქრები გუნდის წევრებს. ტურნირის ორგანიზატორები რაიონის სპორტკომიტეტის გეგრდით იდგა სპორტის ცნობილი ქომაგი ავთანდილ ციქვაძე.

ზესტაფონელი გულშემატკივრები არაერთხელ გაახარეს რაიონის მოკიდავეებმა, მოკრივეებმა და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებმა.

ცალკე აღნიშნის ღირსია წყვეტილდელთა სპარტაკიადა, რომელიც სპორტის 5 სახეობაში ჩატარდა. საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს გადაეცა სამახსოვრო ფასიანი საჩუქრები, დაჯილდოვდნენ გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები.

9 სექტემბერს კი ზესტაფონის სტუმრად ეწვია კარატე დოს ვაძირიეს სტილის პრეზიდენტი ტაქეუო სუძუკი. რაიონის ხელმძღვანელობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სპატიო სტუმარს, რომელსაც გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები და, რა თქმა უნდა, იყო ქართული სტუმართმოყვარეობა.

რაიონის ხელმძღვანელობა, პირადად ელგუჯა კვეტენაძე და რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გია სადარელიძე გეპირებენ, რომ კიდევ მრავალჯერ გაახარებენ ზესტაფონელ სპორტსმენებს.

აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მძლეოსანი, ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, დამსახურებული მწვრთნელი და მასწავლებელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, მძლეოსნობის ფედერაციის წევრი, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, დიდუბე-ბუდურუთის სპორტკომპლექსის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი

ნუნა (ნოდარ) ბაბოშიძე

და სამძიმარეს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ გარდაიცვალა დიდუბე-ბუდურუთის სპორტკომპლექსის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და მასწავლებელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, ღირსების ორდენოსანი

ნუნა (ნოდარ) ბაბოშიძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

UNITE AGAINST RACISM

ფეხბურთი რასიზმის გარეშე

შეცვლილი მწვრთნელით, ტურიდან ტურში

შაბათს, ეროვნული ჩემპიონატის მორიგი, ჩვიდმეტბრივი VIII ტურის მატჩები გაიმართება. ტური კვირის ორი მატჩით დაიხურება. არაჩვეულებრივი და საინტერესო მერვე ტურში ისაა, რომ უმაღლესი ლიგის სამი კლუბი მატჩებს ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩაატარებს. ერთ-ერთ პირველობაზე სულ შეიდე ტურია გამართული და კლუბთა უმრავლესობამ თავადაც გამოიცადა, თუ ეს ცალილებათა ტაღლა არ ჩაბერა, მაღე შეიძლება თქვა კი აგვეროის, ვინ სად და როდის გამოცვალა მწვრთნელი და რამდენჯერ მოხდა ეს მოვლენა წლევანდელ ჩემპიონატში. მეტად ხანმოკლე გამოდგა ჯონი ჯანელიძის მწვრთნელობა სფეზბურთო კლუბ „თბილისში". თბილისის „დინამოსთან" წაგების შემდეგ მწვრთნელი ბუნდოდან წვიდა. პირველი ტატის ბოლომდე გუნდი კლუბში მეორე მწვრთნელად მოამუშავა გიორგი დევდარიანს ჩაბარეს. „თბილისი" მერვე ტურში გასცილათ მატჩს ჩატარებს, ასევე, მწვრთნელგამოცვლილ კუთხისის „ტორპედოსთან" კუთხისელებმა როკი განსხორციელეს. სოსო ფრუიძე გუნდიდან არ წასულა, მეორე მწვრთნელის ფუნქციას შეასრულებს, კლუბს კი მისი ყოფილი თანაშემწე გელა კიკალეიშვილი გაუძღვება.

მესამე ახალი მწვრთნელი ეყოლება „მცხეთას". ამჟამად, მთავარი მწვრთნელის ფუნქციას კლუბის პრეზიდენტი ელადიერ გუცაევი შეითავსებს. მცხეთელებსაც გასცილათ მატჩი აქეთ ბათუმში. თანაც, ეროთ მნიშვნელოვანი. თანაბარძალიან, თითქმის, ერთი ლესიის და დონის მეტოქეობა. სატურნირო ცხრილში მეზობლად მყოფი გუნდების მატჩი დამაინტრიგებელია.

ტურის მთავარი მატჩი, ალბათ, ეროვნულზე გაიმართება. თბილისის „დინამო" მდგარ ბოლნისის „სიონს" მიიღებს. გუნდებს შორის მანძილი ორი ქუთაი „ლიანდაგით" შეზობედა. აქედან გამომდინარე, მატჩიც დაძაბული უნდა გამოდგეს. ერთი მატჩი, რომელიც ყურადღების მიიქცევს, უდავოდ, „შევარდნები" გასამართო კვირის მატჩია. ვიტელები რკინიგზელებს უმასპინძლებენ. ვიტერნარები კვლაი დედაქალაქის „დინამოს", თავის მხრივ „ლოკომოტიველები" სასურველი ანგარიშის მიღწევის შემთხვევაში შეიძლება ლიდერებს წამოეწიონ კიდეც. მერვე ტურის მატჩთა თანმიმდევრობა კი ასეთია:

უმაღლესი ლიგა, VIII ტური
20 სექტემბერი, შაბათი
სპარტაკი-ქუთაისი — დილა
დინამო (ბთ) — მცხეთა
დინამო (თბ) — სიონი
კოლხეთი 1913 — მერცხალი

21 სექტემბერი, კვირა
ვიტესელი — ლოკომოტივი
ტორპედო — თბილისი

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
VIII ტური
უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
დინამო (თბ)	7	5	1	1	23-3	16
ვიტა-ჯორჯია	7	5	1	1	15-4	16
სიონი	7	4	2	1	10-5	14
დილა	7	4	1	2	10-5	13
ტორპედო	7	3	2	2	6-5	11
ლოკომოტივი	7	3	1	3	10-9	10
კოლხეთი1913	7	3	1	3	6-6	10
თბილისი	7	2	1	4	9-12	7
მცხეთა	7	2	1	4	7-16	7
დინამო (ბთ)	7	2	0	5	4-10	6
მერცხალი	7	1	2	4	6-17	5
სპარტ.-ლაზ.	7	1	1	5	2-16	4

ბომბარდირები: ახალია (დინამო თბ) — 8, დავითაშვილი (თბილისი), გოცირიძე (ვიტა-ჯორჯია), მელქაძე (დინამო თბ) — 5-5-5.

ანონსი

პირველი ლიგა, VI ტური
20 სექტემბერი, შაბათი
გურია — ვიტ ჯორჯია (მცხეთა)
ცხინვალი — შტალერები

21 სექტემბერი, კვირა
ჭიათურა — მილანი
იმერია — სამგურალი
ამერი — ჩიხურა
ლუკა — ოლიმპი

22 სექტემბერი, ორშაბათი
ლოკომოტივი (სამტრედია) — დინამო 2 (თბ)
თსუ — გორდა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ოლიმპი	5	4	1	0	9-4	13
გორდა	5	4	0	1	9-6	12
სამგურალი	5	3	2	0	6-2	11
თსუ	5	3	1	1	9-5	10
ჭიათურა	5	3	0	2	8-4	9
ცხინვალი	4	2	2	0	5-1	8
დინამო2(თბ)	5	2	1	2	10-9	7
ლუკა	5	2	1	2	4-7	7
ლოკ.(სამტრ)	5	2	0	3	4-5	6
გურია	5	2	0	3	4-6	6
ლუკა	5	2	0	3	3-5	6
ვიტ ჯორჯია	5	1	2	2	4-5	5
მილანი	5	1	2	2	2-3	5
ჩიხურა	5	1	0	4	4-9	3
ამერი	4	1	0	3	2-6	3
შტალერები	5	0	0	5	2-8	0

რეგიონული ლიგა

დასავლეთის ზონა, I ტური
17 სექტემბერი
კოლხეთი2 (ფოთი) — მეშახტე (ტყიბული) 2-2
დინამო 2 (ბათუმი) — სულიო (ქობი) 2-1
მაღაროელი (ჭიათურა) — ეგრისი (სენაკი) 7-2
დინამო (ზუგდიდი) — ოლიმპიური (სამტრედია) (გადაიდო)
ტორპედო2 (ქუთაისი) — კოლხეთი (ხობი) 2-1
რაჭა (ამბროლაური) — სჯერი (წყალტუბო) 1-1
დინამო (ქუთაისი) — სამეგრელო (ჩხოროწყუ) 0-0
სტაბი (ფოთი) — საღნინო (მარტვილი) 2-0

ლიცენზირება აუცილებელი და გარდუვალია

მომავალი წლიდან ევროსარბიელზე გამოსვლის მოსურნე კლუბებმა უფრო მოთხოვნათა შესაბამისად ლიცენზირება უნდა გაიარონ. „რაციონარი ჩაწყობა, არაეთიარი პროტექცია" — ასეთი კატეგორიული იყო სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარე მურად ანჯაფარიძე გუშინწინ სფფ-ში გამართულ პრესკონფერენციაზე. ლიცენზირების ეროვნული სისტემის შემუშავებით და განხორციელებით ჩვენი ფეხბურთის მეურნეობა საბოლოოდ უნდა დალაგდეს და კლუბებმა არსებობისა, მოღვაწეობისა და განვითარებისთვის, თუნდაც ელემენტარული პირობები უნდა დაამყაროფილონ, გარკვეული მოთხოვნები უნდა შეასრულონ. ქართული კლუბების ლიცენზირების ეროვნული სისტემა უფრომ მოიწონა და მუშაობაც დაიწყო. ლიცენზირება დარგობრივი პრინციპით განხორციელდება. საკადრო-ადმინისტრაციული, სამართლებრივი, სპორტულ ნაგებობათა და ინფრასტრუქტურული, ფინანსური, სპორტული. მუროდ ანჯაფარიძის მოადგილე იქნება აღვასნერგ ხომერიკი, სფფ-ს ლიცენზირების მენეჯერი კი ნოდარ ჩოლარია. კლუბების ლიცენზირება სფფ-მ 2004 წლის მაისისთვის უნდა დაასრულოს, რათა მათ ევროტურნირებში თამაში შეძლონ. ჯერჯერობით, ეროვნული ლიცენზირების პირობებს შესრულებასთან ახლოს, ეროვნული ჩემპიონატის სამი ლიდერი, თბილისის „დინამო", „ვიტ ჯორჯია" და „ლოკომოტივი" დაენან და ალბათ, უპირველესად ეს კლუბები მიიღებენ პირველ სალიცენზიო.

ფეხბურთი ყველასათვის!

„ალორძინების" პრიზზე, ახალდაბაში

ბორჯომის რაიონის ახალდაბა, სადაც 670-ზე მეტი კომლია, ერთი კვირა ფეხბურთით ცხოვრობდა. დიდი თუ პატარა სოფლის სტადიონზე ყარიბებმდა და თავისნი ქეჩის, უხნის სახელდახელოდ ჩამოყალიბებულ ფეხბურთელთა გუნდს ჯობავდა. ასეთი კი 6 გუნდი იყო. ისინი „დემოკრატიული ალორძინების კავშირის" პრიზზე პირველობისათვის ეცილებოდნენ ერთმანეთს. დაბა დრაფით, ექვს ნაწილად დაიყო — ყველა გუნდს თავისი მაყურებელი ჰყავდა.

12 სექტემბერს, წეთიანი ამინდის მიუხედავად, ხალხარკვლია ვიხილეთ სტადიონზე, რაც ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ავაკი-ფშაველას" და ბორჯომის ქეჩების წარმომადგენლები. ამ უკანასკნელებმა პენალტებით მოიპოვეს ფინალში გასელის უფლება.

ფინალი შთამბეჭდავი იყო. მსაჯობდა ტელევიზიონა ბორჯომის სპორტული კომენტატორი ნიკა ედელაშვილი. მატჩი 4-1 დამთავრდა „ფშაველთა" სასარგებლოდ. სამი გოლი გუნდის კაპიტანმა თორნიკე თიბილაშვილმა გაიტანა, ერთიც — მალხაზ ბარბაქაძემ. „ალორძინების" მფრთხო თასიც მათ გადაეცათ. გუნდმა თასთან და ფულად პრემიასთან ერთად ბათუმის ორდინარი საგზურიც მიიღო საწყრად. გარდა ამისა, ბორჯომის „ალორძინების" კავშირის წარმომადგენლებმა (მამეყა სამსონაშვილი, ნოდარ ბოლქვაძე, ჯემალ პაპუაშვილი) — ახალდაბელებს ტურნირამდე ფეხბურთის ბეჭიები, ბადეები და ორი გუნდისათვის სპორტული მაისურებიც უსახსოვრეს.

ახალდაბელები მოესალმებიან ასეთი ღონისძიებების ჩატარებას, გარდა იმისა, რომ ტიმიელს აძლევს ახალგაზრდობას, ხალხს აფიქრებინებს, რომ ვიღაცას ახსოვს ისინი, იშვიათად, მაგრამ მაინც ზრუნავს მათზე. ეს ღონისძიება კი ამის ნათელი გამოხატულება იყო.

ბორჯომელი „ალორძინების" კაშირის წარმომადგენლები (თამარ ლომთათიძე ვენიო სახჩიძე) ამ ღონისძიებ სხვა საინტერესო სპორტულ შეჯიბრებებსაც გამართავენ.

სურათზე — გამარჯვებული გუნდი „ავა-ფშაველა": ჯუმბერ რაზმაძე, რამაზ ცერცვაძე, თემურაზ გოგოლაძე, ოთარ ციხელაშვილი, მალხაზ ხარაძე, ავთანდილ კოხრიძე, თორნიკე თიბილაშვილი, მალხაზ ბარბაქაძე, ლაშა გიუაშვილი, დიმა ხარაძე, თემურ კობერიძე, მალხაზ ჩადეულიო, თემურ სამხარაძე, ზაზა ციცქიშვილი, ეს ის ბიჭებია, რომლებიც ბორჯომიდან შეიი ზღუსკენ სპეციალური ავტობუსით გემგზავრებიან.

სოფიო ხეთაბაშვილი
ბორჯომი.
ავტორის ფოტოები.

გამარჯვებულ გუნდს „ავა-ფშაველას"

ჭაბუკები ერევნიდან იწყებენ



UEFA UNDER-17 Championship

ევროპის ჩემპიონატის სანოემბრო შესარჩევი ეტაპისთვის მზადება დაიწყო საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა 17 წლამდელთა ნაკრებმა. გელა გომელაურმა 25 შეგირდი შეკრიბა და ერთი კვირაა, რაც გუნდის მზადება დაიწყო. სასწავლო-საწვრთნელი პროცესი ხელიდან სომხეთში გაგრძელდება. ქართველი ჭაბუკები სომეხ თანატოლებთან ორ ამხანაგურ-საკონტროლო მატჩს გამართავენ 21 და 23 სექტემბერს. ნაკრების მომზადება ოქტომბერშიც გაგრძელდება. შესარჩევი ეტაპის მატჩებს კი ჩვენი ნაკრები ნოემბრის დასაწყისში 4-6-8 ნოემბერს გამართავს.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის, 11 ოქტომბრის რუსეთ-საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ქ. მოსკოვში, გასამართ შესარჩევ მატჩზე დასწრებისა და გაშუქების მსურველმა ჟურნალისტებმა 23 სექტემბრამდე მიმართონ საქართველოს ეროვნული ნაკრების პრეს-ატაშეს მამუკა ქვარაცხელიას.

დღეს, 12 საათზე სფფ-ს კლუბების დიციპლინარების კომიტეტის სხდომა ჩატარდება, სადაც პირველადი მუშაობის შედეგები შეჯამდება, დაიგეგმება სემინარების, შეცდინეობების, კლუბთა სალიცენზიო მიღების ვადები. იმსჯელებენ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბ-ნ ირაკლი მემარიაშვილს, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს ბ-ნ ბორა ძასოხოვს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სულითა და გულით მოგილოცავთ მსოფლიო ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი ეროვნული ნაკრების ბრწყინვალე მიღწევას.

ვეღოცავთ ელდარ კურტანიძეს აწ უკვე მსოფლიო ორგზის ჩემპიონობას, ვულოცავთ რევაზ მინდორაშვილს ჩემპიონატის ვერცხლის მედალს, ვულოცავთ ნაკრებს მსოფლიო ბუნდურ პირველობას და მთელი საქართველოს სპორტულ საფარის ოლიმპიური თამაშების ხუთი ლიცენზიის მოპოვებას.

ერთგულმა ნაკრებმა და მისმა რჩეულმა ბიუბმა შესანშნავი სტიმული მისცეს ქართულ სპორტულ მოძრაობას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ!

მერაბ ჭოკოძანია,
სფფ-ს პრეზიდენტი,
ვალერი ჩოლარია,
სფფ-ს გენერალური მდივანი.

კიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს ბ-ნ დილარ ხუბულიანს

მოგილოცავთ ზურაბ ზვიადაურის ვერცხლის მედალს ძიუდოისტება მსოფლიო ჩემპიონატზე და მის მიერ 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვებას. გვჯერა, რომ ჭაბუკი ძიუდოისტები კიდევ იტყვიან თავის სიტყვას.

მერაბ ჭოკოძანია,
სფფ-ს პრეზიდენტი,
ვალერი ჩოლარია,
სფფ-ს გენერალური მდივანი.

საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!

ცნობილი არბიტრები

პიერლუიჯი კოლინა

25 შეკითხვა - 25 პასუხი

პიერლუიჯი კოლინა - დაიბადა 1960 წ. 13 თებერვალს, ქ. ბოლონიაში (იტალია). სიმაღლე – 188 სმ. წონა – 75 კგ. პროფესია – ფინანსური კონსულტანტი. პიერელი საერთაშორისო მატჩი – ჰოლანდია-გერმანია (1996 წ.) მნიშვნელოვანი ფაქტები – 1996 წლის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის, 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის გათამაშებისა და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (ბრაზილია-გერმანია) ფინალური მატჩების მთავარი მსაჯი. მრავალი ექსპერტი კოლინას მსოფლიოში საუკეთესო არბიტრად თვლის.

● რას ნიშნავს თქვენთვის ფეხბურთი?

ბავშვობაშივე მივყვარდი ეს თამაში, ახლა კი ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია მის გარეშე. ბევრი რამ ვისწავლე ჩემი სამსაჯო კარიერის განმავლობაში.

● რომელ საფეხბურთო კლუბს გულშემატკივრობდით ბავშვობაში?

ბოლონიაში დავიბადე და ბუნებრივია, პირველი საყვარელი გუნდიც ჩემი ქალაქის გუნდი იყო, მაგრამ მე ასევე დიდი ხანია „ლაციოს“ გულშემატკივრობ. გარდა ამისა, კალათბურთის „ფანი“ გახლავართ: ბოლონიას ორი გუნდი ჰყავს და მათ შორის მძაფრი კონკურენციაა.

● როდესმე გყოლიათ იდეალი?

ბავშვობაში ვთამაშობდი ფეხბურთს „ლიბეროს“, ცენტრალური მცველის პოზიციაზე და იმ დროს ასპარეზზე იყო დიდებული „ლიბერო“ – ფრანც ბეკენბაუერი.

● თქვენი აზრით, ამჟამად, ვინ არის მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი?

მე დავასახელებდი ზიდანს, რონალდოს, ბეკჰემს, რაულს, ნედვედს, რობერტო კარლოსს, შემიძლია განვაგრძო. იტალიელთაგან, ასევე დავასახელებდი პაულო მალდინის, მისი ხანგრძლივი და შესანიშნავი კარიერისთვის.

● რომელი გუნდის თამაშია ყველაზე სანახაობრივი ფეხბურთი?

2003 წლის 8 აპრილს, ტელევიზიის საშუალებით ვნახე უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩი, მადრიდის „რეალსა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ (3-1) შორის. რა შეიქნევი თამაში იყო!

● რომელია თქვენთვის ყველაზე დასახსოვრებელი საფეხბურთო მოგონება?

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ბრაზილიისა და გერმანიის გუნდებს შორის გამართული იმ მატჩის არბიტრი მე ვიყავი და ისეთი გამოცდილება მოვიღე, რომ არასოდეს დამავიწყდება.

● რა იყო თქვენთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუება?

მე ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან არ შემიძლია დავასახელო რაიმე დიდი იმედგაცრუება. ალბათ, ერთადერთი ცუდი მომენტი ჩემს ცხოვრებაში შაჩის იყო, როცა 24 წლის ასაკში დავკარგე თმები და ხალხი ფიქრობდა, რომ ეგრე გავაკრძალებდი მსაჯობას.

● მუსიკის რომელ სახეობას ანიჭებთ უპირატესობას?

ეს ჩემს განწყობაზეა დამოკიდებული. მომწონს ოპერა და ბევრი იტალიელი მომღერალი, დიახ, ფრედი მერკური და ელტონ ჯონი.

● რომელია თქვენი საყვარელი წიგნი?

წიგნზე მეტად ავტორი – ჯონ გრიშამი.

● საყვარელი ფილმი?

„ფორესტ გამპი“.

● საყვარელი ქალაქი?

ბარსელონა.

● სპორტის რომელი სახეობის მოყვარული ხართ?

სხვადასხვა სახის მაკარონის.

● თქვენი ჰობი?

ვცდილობ მოვალე ჩემი თავისუფალი დრო ოჯახს დავუთმო, მაგრამ არა მგონია ეს ჰობად ითვლებოდეს.

● ვის თვლით ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად მსოფლიოს ისტორიაში?

იესო ქრისტეს.

● რაში მდგომარეობს თქვენი მთავარი ძალა?

მუშაობად ვცდილობ გავიზარდო როგორც მსაჯი და ვფიქრობ, მთავარია მაქსიმალური მოშზადება.

● და თქვენი სისუსტე?

ეს დიდი საიდუმლოებაა!

● რა თვისებებს აფასებთ ქალში?

მე მჯავს მეუღლე. ის არის ინტელიგენტი, ლამაზი, აქტიური და მოსიხიბლავი.

● მამაკაცში?

იტალიურად თუ ვიტყვით, კაცი უნდა იყოს „ვერო“, რაც ნიშნავს ჭეშმარიტს, მართალს.

● რაში ხარჯავთ თქვენი ფულის დიდ ნაწილს?

განსაკუთრებულად არაფერში.

● რისი გეშინიათ?

არის მომენტები, როდესაც ცხოვრება შეიძლება შეგაცბუნებინოს რაიმე ისეთმა მოვლენამ, რომელსაც ვერ აკონტროლებ.

● როგორ ხედავთ მსოფლიოს მომავალს?

როგორც ორი გოგონას მამა, მე ვიმედოვნებ, რომ მათ შეეძლებათ იცხოვრონ იმ პრობლემების გარეშე, რომელსაც ჩვენ ვებრძვით.

● რას ნიშნავს თქვენთვის „მშვენიერება“?

მშვენიერება სუბიექტური მცნებაა, მაგრამ, როდესაც ხედავ ვინმეს ან რაიმეს მშვენიერს, გული გიჩქარდება.

● სად გიყვართ არდადეგების დროს ყოფნა?

მიყვარს მზე და სითბო, შესაბამისად, შვეიცარიასთვის ვამჯობინებ მზიან ადგილს. ბედნიერი ვარ, რადგან ვიარჩიეთ, ადვილი, სადაც მე ვცხოვრობ, არის სანაპირო და იქ მშვენიერი ამინდია მაისიდან ოქტომბრამდე. ზამთრში, არდადეგების, ჩვეულებისამებრ, ტენერიფის კანარის კუნძულებზე ვატარებ.

● ყველაზე ძალიან ვისთან გსურთ შეხვედრა?

გამოჩენილი ადამიანებიდან, მსურდა რომის პაპთან შეხვედრა და საბჭოსთან, უკვე შევხვდი.

● გერმანიაში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული ვის იქნება?

ვფიქრობ, მსაჯთა გუნდი!

FIFA Magazine -დან თარგმნა
ბეთრი ცინცაძემ

დანაწევრებული იუგოსლავია და ევროპული ფეხბურთი

ვიდრე უშუალოდ თემასთან დაკავშირებით ვისაუბრებდეთ, თვით იუგოსლავიის ისტორია გავიხსენოთ რამდენიმე სიტყვით.

ჯერ იყო და, ავსტრო-უნგრეთის დაშლის შედეგად, 1918 წლის 1 დეკემბერს შეიქმნა პირველი იუგოსლავიური სახელმწიფო – სერბების, ხორვატების და სლოვენების სამეფო, რომელმაც ამ სახელწოდებით ათეული წელი იარსება: მეთვრამეტე წლის მეფე ალექსანდრემ გადატრიალება მოაწყო და სამეფოს იუგოსლავია უწოდა.

